

ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა

ნაწილი 5: დამოუკიდებლობა



ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვის გარდა, დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტებით მოითხოვება, რომ საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრები დამოუკიდებელნი იყვნენ აუდიტის, მიმოხილვისა და სხვა მარწმუნებელი გარიგებების შესრულებისას. დამოუკიდებლობა მჭიდროდაა დაკავშირებული ობიექტურობისა და პატიოსნების პრინციპებთან. დამოუკიდებლობა საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ მოქმედების პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტია.

შიდა პოზიცია:

ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევის წინა ნაწილებში მიმოვიხილეთ კოდექსის ძირითადი პრინციპები და კონცეპტუალური მიდგომა. ახალ ბაზარზე საქმიანობის გაფართოების მსურველი საერთაშორისო სამრეწველო კომპანიის პროფესიონალი ბუღალტრის პოზიციიდან ჩვენ:

- მიმოვიხილეთ ისეთი ფაქტებისა და გარემოებების მაგალითები, რომლებმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვას; და
- გამოვიკვლიეთ განსჯის პროცესი, რომელიც თან სდევს ამგვარი საფრთხეების გამოვლენას, შეფასებასა და მათზე რეაგირებას, მათ შორის როგორ ხდება შესაბამისი დამცავი ზომების გამოყენება.

გარე პოზიცია:

ახლა შევცვალოთ პოზიცია და განვიხილოთ, რა გავლენას ახდენს ეს სიტუაცია კომპანიის აუდიტორებზე. გავისვენოთ, რომ:

- ელფოსტით მიმოწერიდან ჩანს, რომ, იმ დროს, როდესაც ახალი ბიზნესგეგმა მუშავდებოდა, კომპანიის მიერ გარე საბანკო ანგარიშებზე განხორციელდა თანხების გადარიცხვა.
- აუდიტის ჩატარებისას, აუდიტორის მონაცემთა ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების შედეგად აუდიტორმა დააფიქსირა რამდენიმე მსხვილი საბანკო გადარიცხვა.
- აუდიტორმა აღნიშნული გადარიცხვის შესახებ ინფორმაცია განსახილველად გადასცა აუდიტის მენეჯერს.

რატომ არის დამოუკიდებლობა ასეთი მნიშვნელოვანი?


დაინტერესებული მხარეები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ აუდიტორები არიან დამოუკიდებელნი როგორც დამკვეთისაგან, ისე ხელმძღვანელობისაგან. აუდიტორებისგან მოელიან, რომ ისინი:

- შეაფასებენ აუდიტორული მტიცებულებების მართებულობას/შესაფერისობას;
- გამოიკვლევენ ნებისმიერ შეუსაბამობას;
- შეეწინააღმდეგებიან დამკვეთის მმართველ გუნდს - მათ შორის აღმასრულებელ დირექტორსაც; და
- აუცილებელ ზომებს მიიღებენ, თუ ეჭვი გაუჩნდებათ, რომ ჩადენილია თაღლითობა.

იმისათვის, რომ აუდიტორის დასკვნა სანდოდ იქნეს მიჩნეული, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ არ მომხდარა აუდიტორის პროფესიული განსჯის კომპრომეტირება და აუდიტორი არც ისეთი ზეგავლენის ქვეშ აღმოჩენილა, რომელიც საფრთხეს შეუქმნდა მის პატიოსნებას, ობიექტურობას ან პროფესიულ სკეპტიციზმს.

კონცეპტუალური მიდგომის გამოყენება დამოუკიდებლობის მიმართ დამოუკიდებლობა და ძირითადი პრინციპები

დამოუკიდებლობა არ არის ეთიკის ძირითადი პრინციპი, თუმცა ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვის მიმართ შექმნილი საფრთხეები შესაძლებელია აუდიტორის დამოუკიდებლობასაც დაემუქროს. ფინანსური ანგარიშგების აუდიტში, ძირითადი პრინციპების დაცვა ხელს უწყობს პროფესიული სკეპტიციზმის განწყობით მოქმედებას.



დამოუკიდებლობის მიმართ შექმნილი საფრთხეების გამოვლენა

განიხილეთ დაინტერესებულ მხარეთა ნდობაზე გავლენის მოხდენის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სამრეწველო კომპანიის აუდიტორი გამოავლენს შემდეგ საფრთხეებს:

- **თვითშეფასება** - კომპანიის გაფართოების გეგმისა და რისკების შეფასების საკითხზე თავდაპირველად აუდიტორული ფირმის მრჩეველთა ჯუფმა იმსჯელა.
- **ადვოკატირება** - კომპანიას აუდიტორული ფირმა იმიტომ ჰყავდა მოწვეული, რომ მომავალში, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოში დახმარებოდა კომპანიას ინტერესების/ქმედებების დაცვაში.
- **შანტაჟი** - ეს კომპანია აუდიტორულ ფირმის ძალიან მნიშვნელოვანი დამკვეთია. კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი ფირმას ემუქრება მასთან საქმიანი ურთიერთობის გაწყვეტით, თუ ისინი დამატებით დროს მოითხოვენ გარე საბანკო ანგარიშებზე განხორციელებული გადარიცხვების შესამოწმებლად.

ცხადია, თითოეულ ამ საფრთხეს აქვს შესაძლებლობა, შეამციროს აუდიტორის დასკვნის მიმართ დაინტერესებულ მხარეთა ნდობა. თუ ამგვარი საფრთხეები წარმოიშობა, დიდა იმის ალბათობა, რომ ისინი არ იქნება მისაღები დონის და საჭირო გახდება მათზე სათანადოდ რეაგირება.

დამოუკიდებლობა მოითხოვს, რომ აუდიტორმა შეინარჩუნოს გონების ისეთი მდგომარეობა, რომელიც არ განიცდის სხვის ზეგავლენას. თუმცა აზროვნების დამოუკიდებლობა არ არის საკმარისი. აუდიტორი დამოუკიდებლად უნდა აღიქმებოდეს მიუკერძოებელი დამკვირვებლის პოზიციიდანაც. გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარის ტესტი გამოიყენება იმის დასადგენად, ფლობს თუ არა აუდიტორი გარეგნულ დამოუკიდებლობას.

დამოუკიდებლობის მიმართ შექმნილი საფრთხეების შეფასება და მათზე რეაგირება

უნდა შეფასდეს დამოუკიდებლობის მიმართ შექმნილი ყველა საფრთხე, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ისინი არაა მისაღები დონის, მათზე რეაგირება უნდა მოხდეს კონცეპტუალურ მიდგომაში ჩამოყალიბებული მოთხოვნების შესაბამისად (იხ. [ნაწილი 4](#))

დამოუკიდებლობის მიმართ შექმნილი საფრთხის დონის შეფასებაზე გავლენას ახდენს ეთიკური ქცევის წახალისების მიზნით ფირმაში არსებული პირობები, პოლიტიკა და პროცედურები, ასევე სხვა მარეგულირებელი მოთხოვნები. ზემოაღნიშნული არ არის დამცავი ზომები. დამცავი ზომები ფირმის მიერ განხორციელებულ ისეთი ქმედებებია, რომლებიც მისაღებ დონემდე ამცირებს გამოვლენილ საფრთხეებს. დამცავი ზომების გამოყენების ფართოდ აღიარებულ ფორმას წარმოადგენს ფირმის მიერ შესრულებული სამუშაოს მიმოხილვის ჩატარება სათანადო მიმოხილველის მიერ - ხშირად სხვა პროფესიონალი ბუღალტრის მიერ - რომელიც მიუკერძოებელია და ფლობს შესაბამის ცოდნას.

ზოგ შემთხვევაში, არ არსებობს არანაირი დამცავი ზომები, რომლებიც საფრთხეს მისაღებ დონემდე შეამცირებდა. მაგალითად, დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტებით აუდიტორს ეკრძალება აუდიტის დამკვეთთან მიმართებით ფინანსური ინტერესის ქონა.

იმ დებულებების გარდა, რომლებიც ფირმებს ეხმარება დამოუკიდებლობის მიმართ კონცეპტუალური მიდგომის გამოყენებაში, დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები ეხება სხვა სპეციფიკურ საკითხებსაც, მათ შორის მოიცავს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა ინფორმირების მოთხოვნას, დამოუკიდებლობის მოთხოვნებს ქსელის ფირმებისთვის და დებულებებს, რომლებსაც ფირმები იყენებენ დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში.

სად მივიღებთ დამატებით ინფორმაციას?

დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები მოცემულია კოდექსის შემდეგ ნაწილებში: **4a** - დამოუკიდებლობა აუდიტისა და მიმოხილვის გარიგებებისთვის და **4b** - დამოუკიდებლობა აუდიტისა და მიმოხილვის გარდა სხვა მარწმუნებელი გარიგებებისთვის.

www.IESBAeCode.org-ზე თქვენ იხილავთ eCode-ს - ონლაინ რესურსს, რომელიც განკუთვნილია ბუღალტერთათვის და ასევე კოდექსის სხვა მომხმარებლებისათვის. იგი იძლევა კოდექსზე სწრაფად და ეფექტურად წვდომის საშუალებას, რაც ამარტივებს მის მოხმარებასა და პრაქტიკაში დანერგვას/გამოყენებას.

ბულალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) თანხმობით მის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული დოკუმენტი „ბესს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 5: დამოუკიდებლობა“ ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს პროფესიონალ ბულალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ. IFAC-ის მიერ დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს მის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ვერსია. IFAC არ იღებს პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე ან მისგან გამომდინარე ნებისმიერ ქმედებაზე.

„ბესს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 5: დამოუკიდებლობა“ - ინგლისურენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„ბესს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 5: დამოუკიდებლობა“ - ქართულენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

სათაური ინგლისურ ენაზე: *Exploring the IESBA Code Installment 5 – Independence*

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელების, შენახვისა და გადაცემის, ან ნებისმიერი სხვა სახით მისი გამოყენების თაობაზე დაუკავშირდით IFAC-ს: Permissions@ifac.org